

ნახ. ი. ყვინაშვილისა



იუმორისკა

მითა ბეღუნები თუ არაბები, მოდგნენ მთავრობის სახლ-თან და დასცეს კარავები!.. ახლოს მივედი, დარჩეული ქართველები იყვნენ — მოშიშვლენი, ახლობლები, ჩვენი ძმები, ჩვენი დები, ჩვენი შეილები!..

თავადაც ქართველი ვიყავ, თანაც ზორბა, ხარითი ჯანმრთელი, ნაპატივებ-ნაკვები, ფულიც მქონდა და სამპროცენტინი ობლიგაციებიც, მხოლოდ მართობდა, არ მდღელებდა წამოწყებული ეროვნული აქციები! კი ვუყურებდი მათ ტანჯვას გულჩვილად, მაგრამ თავს ვერ გავიშვებდი, რომ მე მოშიშვლილი, მაგრამ როცა ამის მოპყვა მიტინგიც და ტრიბუნაზე შედგა ერთი „ტინგიც“, თანდათან მივხვდი, რომ ის სულაც არ იყო ქერქეტი და, ასე თუ ისე, ბევრი რამეებით იყო ჩემზე მეტი! ახლა უკვე სხვა თვალთ შევხედე მოედანს, ქცეულს ჩარდახებდა და გადავწყვიტე მათთან ყოფნა, უკან არდახევა! გულმა ჩემმა იწყო ამბობით, რისხვით აალება, თუმცა თანამდებობა არ მაძლევდა ამის საშუალებას!..

სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, ეროვნულ მოძრაობას შევწოდი არა რევოლუციური ქმედებით, არამედ ჩემი, შეუმჩნეველი მეთოდებით — ქველმოქმედებით!

რაკი გამოცდილება არ მქონდა, დავიწყე ანბანი, მოშიშვლილებს ვუყიდე წინდები და ლეიბ-საბანი. მერე იქ ვნახე გოგოებიც, იდგნენ ქოლებით, ვითა კობწია სოკოები. მათში ერთი მომეწონა, როგორც სადღე, როგორც ქალი, ცოლადაც ვინატრებდი, რომ არ ყოფილიყო მოშიშვლი, თანაც არაფორმალი!..

მასთან ყოველდღიური სიარული მაინც დამჩემდა, ისიც მიფასებდა გარჯას, სხეებში მარჩევდა. მე მისგან უკვე ვერ გავდებოდი განზე — საშიშვლოდ ვეღარ მემეტებოდა მისი სინორჩე და სილამაზე! ერთხელაც დრო შევარჩიე, როცა დარჩა მარტო და საჩუქარი მივართვი, ვითომ სარგამარტო!..

შემთხვევით ნაცნობს განა ვინ მითამყვანს ფრანგულ სუნამოს?! რალაცას მიმიხვდა და წარბი შეიკრა, — შენ აქ საეპვოდ დასუნსულე, რალაცას სუნავო!

ვშიშვლობ-მეთქი! — არ გავიტხე იხტიბარი და ამის შემდეგ გავხდი ბარიკადების მუდმივი სტუმარი. შევიფერთხე, ჩამოვხვი, აღარ ვჩანდი ნაპატივებ-ნაკვები, ქალიშვილთან ყოველ საღამოს ვცხადდებოდი ხელში მიხაკებით!..

გამოხდა ხანი, შეწყდა შიშვლობა, დიწყო მრავალპარტიული არჩევნები, შფოთავდა ხალხი, ხან არაფორმალეები იყვნენ წინ, ხან — ჩვენები. იდგა გაზეთების ფრიალი, ავიტაკი, სად ყვირილი ისმოდა, სად — ხანგრძლივი ტაში. ბოლოს გაიმარჯვა „მრგვალმა მაგიდამ“ და ის გოგო, რჩეულ დეპუტატად იქცა, სადლაც წავიდა.

მერე, რომ აღარ ველოდი, უცბათ იჩინა თავი — დაჭდა პრეფეტად, რიგმა მალე მომიწია და მეც მასთან დამიბარეს.

პირისპირ ვიდექით, ის, როგორც უფროსი, მე, როგორც მისი ქვეშევრდომი, სხვა გზა არ მქონდა, თავს ვაწონებდი მხოლოდ ტექნიკური ცოდნის დონით, თან ვაგრძნობინებდი, რომ მისი უფროსობის ვიყავ მნდომი!..

თავი გააქნია. ეროვნული პოზიცია არა გვაქვს საერთო და ასე ჩვენ ერთად ვერ ვიმუშავებთ! სახტად დავრჩი, კბილები გავაკრაქუნე, მაგრამ უმალ გონს მოვეგე და ზრდილობიანი ღიმილი შევაგებე.

არ დამითმო, მის თვლებში სულაც არ არეკლილა ჩემი გულის სითბო.

იმ ადგის, შენ რომ გიკავია, სხვისთვის ვარ შეპირებული, რადგან ვიცი, ვინცა ბრძანდები — არავინ მჭირდება კორუპციულად!

— კიდევ მაქვს ჩადენილი ერთი დიდი დანაშაული... მტრულად ის გარდა, იმასაც ხომ უნდა აეხადოს ფარდა?! — მივუგე მორჩილად და დავემსგავსე უმწეო მომჩივანი.

— რომც არ მითხრათ, ისედაც მიგრძნობს გული... ალბათ შემოგვფლანგათ ბლომად ფული! — ხაზგასმით ზრდილობიანად ჩაიღმილა.

— არა, ეს სულ სხვაა... ეს განლავეთ ჩემს მიერ დავროვებული სულ სხვა განძი, ალაღად შექენილი, არ მოპარული... ჩემი შენდამი უსაზღვრო სიყვარული! — თავი ჩავლუნე, ალმაცერ გავხედე!..

ამის გაგონებაზე დაწვები შეეფაკლა, წამიერად მოუთბა მსუსხავი მზერა და აქ ვიგრძენი, რომ ჩამოპყრა ზარი ჩემმა ბედისწერამ!..

ის არ კეკლუტობდა, არ ეცვა მოდურად, არც ესვა ფერუმარილი, ისევე ისე იდგა, ძველებურად, არაფორმალეით. ერთხანს მშვიდად იყო, მერე შემომხედა და მშვიდად მომიგო:

— რახან ასეა, საბოლოოდ უნდა განიწმინდო, მე არ ძალმიძს, კორუპციულის გვერდით დავდგე, მასთან დავიწინდო!

— შენი ხმალი და ჩემი კისერი! — შევძახე მკვირცხლად და ხელზე საამბოროდ მივეპერი.

— ახალ ტაძარს ვაგებთ, მაღალსა და ნათელ გუმბათიანს, მის ანგარიშზე უნდა გადაირიცხო, რაც რამ გაბადია!

გულთან ორივე ხელი მივტანე, შევფიცე, შევცინე და საპასუხო ღიმილის დამნახავმა ღმერთს მაღლობა შევწირე.

მე შორით მივესიყვარულე მის მთელ არსებას, უფრო — ლამაზ თოლებს და გვერდით დავუდექე — უკვე, როგორც საქმრო, დავეტოლე!

ასე გაგრძელდა ჩვენი სიყვარული არაფორმალური და სულ მალე შევქმენით ოჯახი ნორმალური, თითქმის იდეალური.

ქადას ვკამთ ორივე ხელით — მამაპაპურად, ხოლო ვაზროვნებით და ვირჩებით ფრიალ ეროვნულად!


ელგუჯა მერაბიშვილი

ფრაზები

- გავფრთხილდეთ ქათმებს — ისინი მალე ხუთმანეთი-ან კერცხს დაგვიღებენ!
- კომუნისტებს ვაშენებდით და... სოციალიზმი დავანგრეთ!
- შიშვლობა პროტესტის ფორმა აღარაა, რადგან ახლა ქვეყანა შიშვლობის!..
- სხვათა მალაზიის თავებში შიშვლობით დაწვენენ!
- შიშვლობა ერთი მხრივ ხანგრძლივია: იზოგება ხარკები და თან გარანტირებული ხარ, რომ არაფრით არ მოიწამლები!
- ბევრი ფულით დაბრმავებულიც ინვალიდია, ოღონდ ის კი არ ეცოდებათ, არამედ ეწივდებათ!
- ვინც გარდაქმნა მოიგონა, იმან ვერა მოიგო რა!
- სახანძრო სამსახური მუდამ სცოდავს და... ბაზარი მუდამ იწყობს!..
- ვაშაპაცობა ომსიან ლაპარაკში კი არა, ქცევაში უნდა გამოამჟღავნოს!
- მოდი და, ხორცის ფასის გამგონე ხულით ნუ დავცემი!
- ხმა მიეცით მას, ვინც უხმაურად აკეთებს საქმეს!
- მტარი ვაუკაცებს უფრო ჰყავთ, რადგან ისინი არავის ეპირფერებია!
- ძანი კაცის ცოტაა, ბევრია ის, ვინც კაი კაცის როლს თამაშობს!

რომან შუპაკიშვილი

(ხაგარეჯოს რაიონი, სოფელი პატარძელი)



**სარეპარტო ბარათი
ჩემს ღაჭუაგს**

არ ვზეიმობთ რვა მარტს უკვე,
მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ —
ყველა დღე ხომ თქვენია!
თქვენს სიკეთეს გუნდრუკს ვუკმევ,
ყოველნაირ თქვენს საფიქრალს
ია-ეარდი ჰქენია!

თანაბარი მაქვს ღიმილი
თქვენთვის, ჩემო კარგებო,
ოთხეულო დაბუავ!
თქვენი ჭიბეგაფხეკილი
მამამთილი, მეუღლე,
მამიკო და ბაბუა —

ამ ერთს მაინც, ამ კრელას,
რა გავა აქვს, რა გავა!
გმადლობ, ღმერთო მაღალო —
ისევ ახალგაზრდა ვარ!

უცებ (ნეტავ, საიდან?)
ჩემი ცოლი გაჩნდა და
ტანაყრილი ვერხვის ქვეშ
მონუსხული გაჩერდა!..

მე კი ვბლაყი ხმამალა —
ახალგაზრდა ვარ ხარი!..
ჩემი ცოლი მიყურებს,
დგას და კვდება ხარხარით!..

ისევ...

გაზაფხული ისევ დადგა —
სილამაზის ზეიმი —
თქვენი დღესასწაული!
მაქვს ყოველი, ფულის გარდა,
ნაირ-ნაირ ყვავილებს
აეუვლი და ჩაეუვლი!

დამესიზმრა: დილა,
ველზე ვარ და ვარ ხარი!
ძირს ხასხასა მოლია,
მზე მაღლიდან დამხარის!..

ძალისძალად ვიჩაუქო?! —
თმა რომ მქონდეს,
გავიცილი ან გავიშლი!
რძალს რაიმე რომ ვაჩუქო,
ხომ ეწყინათ მეუღლეს,
შვილიშვილს და ქალიშვილს?

აქვე ორი ძროხა ძოგს —
ჩემი ტურფა „ნაშეზი“,
აეუვლი და ჩაეუვლი,
ნაზად ვეთამაშები!

ხასიათი გამისწორეთ —
მკლავებს ვშლი და გეხვევით,
გაკონით, გჰალერსებით!
უფულობის დედაც, თორემ
რას მიქვიან მილოცვა
ცარიელი ლექსებით?

ორივენი მოვხიბლეთ
სატრფიალო ლექსებით,
დრუნჩს გავაზე ვუსვამ და
ცურზე ვეალერსები!..

წუგზარ აფხაზავა



აბა, ჰე!

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ავთანდილ, ანუ შინაურულად როგორც ეძახიან, ჩახუტუნა ნემსიწვერიძემ ექიმის დიპლომი პირველად რომ დაიკავა ხელში. ბედნიერებისა და სიხარულისგან ლამის თავი ჰკერს აარტყა და იმედია ნად წამოიძახა:

— აწი მე ვიცი და აბა, ჰე!..

— ჩახუტუნა, შვილო. ხომ იცი, თუ გინდა, რომ კარგი ექიმი იყო, სიზმარშიც უნდა გახსოვდეს თქვენი შობდრის დარიგება და ანდერძი: უპირველეს უოვლიხა, ექიმს გული უნდა ჰქონდეს მოწყალება და ხელები — სუფთა! — ჰიპოკრატეს საქვეყნოდ ცნობილი სიტყვები შეახსენა მამამ შვილს.

— მახსოვს, მამა, და სიტყვაც დავდე კომისიის წინ დიპლომის მიღებისას, ვიყო ერთგული იმ ანდერძისა!

— კეთილი და პატიოსანი და, აბა, შენ იცი, ჩემო ჩახუტუნა! — შეაქო, შეაგულიანა მამამ თავის თორმეტ შვილში განსაკუთრებულად საყვარელი ნაბოლარა.

ჰოდა, კიდევაც შეუდგა ავთანდილი, ანუ ჩახუტუნა ნემსიწვერიძე თავის საქმიანობას და: რაც მთავარია, მართლა კარგად შეუდგა მთაში გადაქარგულ ერთ მივიწყებულ სოფელში.

ყველა ავთანდილის მადლიერი და კმაყოფილი იყო იქ — დიდი, პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა. თუმცა, რატომ არ იქნებოდნენ კმაყოფილები: სოფლის პირობაზე, პატარა ოთახში განლაგებული სამედიცინო პუნქტი. იქნებ ამ მეოცე საუკუნის დასასრულს რომ ეკადრება, რასაკვირველია, არ იყო იმ დონეზე უზრუნველყოფილი მედიკამენტებითა თუ აპარატურით, მაგრამ ავთანდილ, ანუ ჩახუტუნა ნემსიწვერიძე, ნემსის უნწში ძვრებოდა და ცდილობდა, რამენაირად არ ჩამორჩენოდა დროს და დროის შესაფერისად მომხატურებოდა მასთან სამკურნალოდ მოსულ ავადმყოფებს.

ეს ჭანთ სავსე, ჭირკვივით ჩაფხკვნილი ახალგაზრდა კაცი, ამდენ გაწამაწაწაში და ავადმყოფებთან აღმა-დაღმა სიარულსა და სირბილში გახდა, სანთელივით ჩამოდნა, ყბა ყბაში გაეყარა, თვლები ჩაუცვივდა, სახეზე ზაფრანისფერი დაედო. გაილიტა და ტანისამოსიც შემოეცრიცა, რადგან მცირე ხელფასი ძლივს ჰყოფნიდა გამოსაკვებად, ავადმყოფებისთვის წამლების საშოვნელად, მანქანისათვის ბენზინის საყიდლად!..

მაგრამ ავთანდილი, ანუ ჩახუტუნა, სიტყვის კაცი იყო, ნაბიჯითაც არ იხვედა უკან და ძველად რომ გადაფარებოდა სოფლის მკვიდრთ, დიპლომის მიღებისას კომისიის

წინაშე აღქმულ ფიცს არავითარ შემთხვევაში არ გატებდა.

ერთხელაც, ამ ცოტა ხნის წინათ, ავთანდილს, ანუ ჩახუტუნას მამა ესტუმრა და, თქვენ წარმოიდგინეთ მამის გაცემა, როცა თერთხალათიან, თმაქადარას მიმართა, — ხად ვნახო ავთანდილ ნემსიწვერიძეო? — იმან მიკნავეხული ხმით უპასუხა, — ეს მე გახლავარ, მამა ბატონო!

— ჩემი სიკვდილი ახლავე! — შემოირტყა მამამ შუბლში ხელი, — ვაი, დედაშენს და კიდე კარგი, არ მოსწრებია ამ შავ დღეს! რა დაგეშართა, რა მოგხვლია, მამის იმედო, ჩახუტუნა?! არ მოგიხდა აქოური ჰაერი, თუ არ დაფაფასა მოსახლეობამ, შვილო?!

— ეგ მეორედ არ თქვა, მამა! არავინ გაიგონოს, თორემ გული ეტკინებოთ და რაღა მეშველება, ვალიდოლი აქ კი არა, თბილისშიც სანთლით საძებარია! რას ჰქვია, არ მათესებენო?! მათესებენ და ევრე?! თვალში რომ ვინმეს ჩავუვარდე, დამიჭრე, თითს არ ამოისვამენ, აბა!

— ხარკეში არ იხედები, ჩახუტუნა?! რას შეფიცები, არ გეტუობა, რა დაფასებაშაც ხარ აქანე?!

— გადასარევი კაცი ხარ, მამაჩემო! შენ არ დამარბე, არ უღალატო ჰიპოკრატეს ანდერძსო?! ჰოდა, მეც ერთგულად ვემსახურები!

— მერე, რომ არ გამოგადგა იმის ნაანდერძევი, ვერ მიაფურთხე ეშმაკს?! გამოგონა მასეც ცხოვრება?! ერთი ცოლი როგორ ვერ მოიყვანე და ერთი ბაღანა მინც რავა არ შემატე ამ ქვეყანას?!

— ემ, ჭიბგაფხეკილი ექიმიც არავის უნდა, სულ არავის და, რა ვქნა?! მე ხელფასების დამდგენელი არა ვარ, ერთი საწყალი ექიმი ვარ, ჰიპოკრატეს ანდერძის მსახური და პირნათელი შემსრულებელი!

— ის თუ გაგიგია, ჩახუტუნა, კაცი რომ იხრჩობოდა და ღმერთს შეშალადა, — მიშველეო, — იმან რა უთხრა?

— რა უთხრა და — ხელი გაანძრეო! ეგ ვინ არ იცის!

— მერე, შე დალოცვილო, ეგ თუ იცი, ის აღარ იცი და არ გაგიგია, ახლა ხელის აქეთ-იქით განძრევასა და აქნევ-დაქნევაში რომ გაეკეთდა ხალხი?! ექიმმა კი არადა, ორკლასიანმა დედაკაცებმა მოიხმარეს ეს ამბავი და შენ ჰურში ზიხარ აქამდე, ჩემო ჩახუტუნა?!

— მამა, შენი ჰურიმე, — ხელი გაახსენა-

ვა ჩახუტუნამ, — პირველყოვლიხა. მე ექიმი ვარ, დიპლომიანი ექიმი!

— ავთანდილ ნემსიწვერიძე! — იქცა უკიდურესობამდე გაბრაზებულმა და დაშფოთებულმა მამამ, — თუკვ... წაქრუს... ექიმი, არავინ გართმევს იმ შენს დიპლომს, რომელიც ცხოვრებულმა დედაშენმა, მე და მალაღმა ღმერთმა იცის, რა დაგვიჭდა, აბა! ის დიპლომი სწორედ შენი ფარი! შენ მოგეთხოვება მხოლოდ, იყო მრავალმეტყველი ნაირ-ნაირი კეთილი სიტყვისა!

— მამა, ძვირფასო!..

— მაცაღე, ნუ ამიშლი დაწყობილ სიტყვებს თავში!.. ასეა, კი ხეს რომ უთხრეს, — გახში, გახშიო! — რომ გახმა, ხომ იცი? ჰოდა, ადამიანზე თურმე, როგორც ირკვევა, კეთილი და იმედია სიტყვაც მოქმედებს! არ იცი ეს შენ, ექიმმა?!

— როგორ არ ვიცი, მაგრამ ექსტრასენსებს ღვით ნაბოძები ძალა და ნიჭი აქვთ, აი, მაგალითად როგორებიც არიან...

— კი, ბატონო, მათი სახელები აკნის ბავშვმაც იცის, მაგრამ ახლა რომ მომრავლდნენ ყველა სახლსა და კლუბში, რავარც წვიმის შემდეგ სოკო, შენც გქერა, რომ...

— რა ვიცი, გაზეთებში კი ვკითხულობ, რომ ესევით ხალხი!.. ეტყობა, მოდაცაა!.. კადრულობენ უკადრისს და ხალხი მინც ეტანებოთ!..


— რატომ, თუ იცი? ადამიანს იმედი აცოცხლებს!.. ასეა, აბა! ჰოდა, იკადრე შენც, აქნე ეგ ხელი ზევით და ქვევით, დაიშქრე ენა, რაც მთავარია, მოიბრავლე იმედია და კეთილი სიტყვები! იმათ იმედით გაავსებ, შენს ჭიბეს კი... იყოს მოდა, მთავარია, დროულად აშყვე ფეხის ხმას! აბა!

ჰოდა, იკადრა ავთანდილ, ანუ ჩახუტუნა ნემსიწვერიძემ ხელების აქნევ-დაქნევა, შთაგონებით დუღუნე, აშყვა ცხოვრების ფეხს ხმას. მე თქვენ გეტყვით, საყველურს ეტყვის ამაზე ვინმე! პირიქით, ჩემო ბატონო, დიდი ძალაა შთაგონება! მთავარია, ირწმუნო ის სასიკეთოდ და შენთვის შენს თავს შეუძახო: — აბა, ჰე!

ნანა კანდელაკი



ნახ. მ. აბაშიძისა



დიდხანს ვეძებ საცოლს!..

„ცოლი შეირთე, ბერდები!“ —
 მეძახდნენ აქეთ-იქიდან!..
 ხან თამრო დამისახელეს,
 ხან ანგელინა მიქეს და —
 ზოგი გრძელცხვირა მეჩვენა,
 ზოგი — წარბ-წამწამაფცქვნილი!..
 რომ მომეყვანა, რა მექნა,
 სხვაში ხომ ველარ გავცვლიდი?
 რვა მარტს კი ქალი გამაცნეს,
 მითხრეს: „თუ მოგეწონება,
 ჰყავს შეძლებული მშობლები,
 აქვს მანქანა და ქონება!“
 შევხედე, არა უშავდა
 შევწამწამთმინს, შავთვალას

(იმის ოჯახი დაიქცეს, ვინც მე იმ რვა მარტს გამოთვალა!).
 ერთხელ რომ პირი დავბანე,
 არც თმა უჩანდა, არც წარბი!..
 (მე ნაღდი ქალი მინდოდა,
 არა — ქიმიის ნაწარმი!).
 ეყოფილვარ მართლა უკვე,
 თანაც — უიღბლო, ავბედა!..
 თმებს საღებავი მოშორდა
 და ქალიც შემომბერდა!..
 დღეს უკვე არის გვიანი,
 უცოლოდ ყოფნა რომ მწენბავს!..
 მე შემრჩა ქალი ხნიერი,
 მის ოჯახს დარჩა ქონება!..

დიმიტრი კოჩაძე
 (თერჯოლის რაიონი, ხოფ. თუზი)

ქმარი: — სადაა, ქალო, ჩემი შარვალი?
ცოლი: — რომელი?
ქმარი: — რომელი, რომელი!.. დილით სამსახურში რითაც წავედი!
ცოლი: — სადამოს სამსახურიდან რომ დაბრუნდი, გეცევა? იქნებ დაგრჩა სადმე?!
 * * *

ქორწინების პირველი ღამის მომდევნო დღეა.
ცოლი: — რათა გაქვს, მიხო, ამოტოლა თავი?!
ქმარი: — ქულს არ ვიხურავდი, დედაკაცო!
ცოლი: — ეგ ფეხები რალამ გაგიზარდა ეგრე უსაშველოდ?!
ქმარი: — ბავშვობაში სუ ფეხშიშველა დავბობდი ხოლმე!
ცოლი: — დალოცვილო, ბარემ უტრუსიკოდაც გველო, რა იქნებოდა?!
 * * *

— რამდენი შვილი გყავთ, ქალბატონო?
 — შვიდი, სულ ვაყები.
 — რა ჰქვიათ?
 — შვიდივეს — იგორიჭ
 — კი მაგრამ, როცა ეძახით, როგორ ასხვავებთ ერთმანეთისაგან?!
 — მამის სახელით, ბატონო ჩემო!
 * * *

მიხოს ცოლმა იშვობიარა. ქმარი მეცხრე დღეს სამშობიაროში მივიდა ცოლის გამოსაყვანად.
 — მეუღლე მინდა წაიყვანო! — მიმართა მორიგე ექიმს.
 — კი, ბატონო, ოღონდ ჭერ უნდა გამოცვეროთ!
 — უნდა გამოწვეროთ?! — იკითხა მიხომ და თვალი ვესტიბიულში მდგარი ეშხიანი ქალისკენ გაექცა, — თუ ეგრეა, ექიმო, არ შეიძლება, ის ქალი გამომიწვეროთ?
 * * *

— ორი ტოლჩა ლუდი და ორი ცალი ხინკალი! — რიხიანად მიმართა მეუღლეს მიხომ.
 — ვა! — გაიკვირვა იმან, — ამდენი ხინკალი მარტოკამ უნდა შეჭამო, კაცო?!
 — რათა მარტომ? — ახლა მიხოს გაუკვირდა, — ძმაც მახლავს თან.

ჩემი ყველაზე ახალი ახალი?

ბიძო კაცი ყველაზე ახალი დახვია, ხოლო მის ცოლს ავანტიანდენ ეს-
 ნა უკეთესო ვაჭარა გავიღო. ერთხელ შეხუბულ მხედს მათთან და სკობას
 — ჩაგინა, რომ შენს ცოლს ერთხელ სხედვს. შენ კი ყველაზე ახალი
 დახვია?
 — ჩემს ცოლს უფლება აქვს იძინოს!
 — ეს ჩივილი!
 — ახე. ის მანამ იგი ფხვნილად, როცა იხვედნობდა, ახლა კი შეურთია
 იძინოს! შენ კი შენის, ჩივილს და ვიხუბვლობდი, ამიტომ არის, რომ ყველაზე ახალი
 ვიდეხი.

ვალიქარალო, იმარი ციხისაძე

ნარკვი

ბაბუხილი თქვა: გოგოს თვალს ჩაუვყარა და სანამ გავიხილე, იქ აღარ
 იყო!

ბაბუხილი ჩაქცა ტყეში, შოფერმა სკობას — სათითო?
 — წილი, შენის! ნაბიჭრ ახლა ამას ათქვამენ! — ჩილიანაკა კახელი.

ბიძო კაცი მანამ სხედვით თხოუმტყაპითანი დავარა, ბებრი ძეგმა და
 რომ ვერ იხივა, თამაშვითანი მიუტოლა ასათი, განათა და ის თხოუმტყაპითანი
 შინს იხივა!

მეფისა ქაიხაშვილი




— ჩივილი ახალი, ქვიპია, ქვიპიაში?
 — ახედი ქიარს, რომ ვერს და სხედვს წყაროხედვს!

— მხო, ავტიანდენ უნდა ჩამოვარო, ტარება არ იყო! — უხარს ავტი-
 ანსქვიარს კახელს.
 — მწ, არე ჰიანისო დავრა ვიდე და, თუ ხევი ხარ, ჩამოვარო!

ბაბუხილი მანამ სხედვით თხოუმტყაპითანი დავარა, ბებრი ძეგმა და
 რომ ვერ იხივა, თამაშვითანი მიუტოლა ასათი, განათა და ის თხოუმტყაპითანი
 შინს იხივა!

ბიძო კაცი მანამ სხედვით თხოუმტყაპითანი დავარა, ბებრი ძეგმა და
 რომ ვერ იხივა, თამაშვითანი მიუტოლა ასათი, განათა და ის თხოუმტყაპითანი
 შინს იხივა!

ბაბუხილი



ნარკვი

ნ. მ. ბაბუხილი

ბეჭედი!

ბაბუხილი მანამ სხედვით თხოუმტყაპითანი დავარა, ბებრი ძეგმა და
 რომ ვერ იხივა, თამაშვითანი მიუტოლა ასათი, განათა და ის თხოუმტყაპითანი
 შინს იხივა!

თავი დახვია სივარტის წვედს, კონიარს სის, კე-
 ვის ლეხის და ბუშტების ზრეკის!
 ინდონან ანებებს თავს პირისხის ლეხის და სან-
 ვიარო იწყებს კარდნაწყობისა და იოთების ვიყო-
 ტურად ვაჭარბებს!
 დღისა და ქვის მავიარებო თითონ ჩაუდგა სათ-
 ვით ბაბუხილის აღზრდას!

ბაბუხილი

ჩემი ყველაზე ახალი ახალი!

მე, ჩემი გოგონა და მეზობელი ქალბი
 ვამცნობთ საზოგადოებას თავდაზნობი, პორტაბლითი,
 სივარტის უარყოფით რომ ვაძირებო გ. ფ. ც. კ. ა. ს.,
 ჩვენი სიტყვა არის, ვფიცავთ ყველა საფორმის
 სტატიანი შეწველი ვარი, არ ვფიქრობდით ამანე,
 სივარტის უშუალოდ დაგვავინა კი გზაზე,
 უფრო შინას გამოვინებთ ვგავთქვენა პორტაბლი
 თმინთ ბეჭედი თვითმინებო! — სადაღის და როდღისი?
 სივარტე არ არისო? არ არის და ნუ არის!
 ჩვენ კი ჩვენი თავად ვგვართვებ, განცხადებით უარი
 განმართლობა და სიმშვიდე როგორ უნდა მოგვეჩინებო?
 ჩვენს თავს ნებას აღარ მივცემთ, ვაბოლებთ მოგვინდეს!
 ახალგაზრდა გული უფლებს, მაგარი კიტიკითი,
 ზოლო როცა ვავხუნდებით ძველი სახნის პირითი,
 სიცილი, სიღამაზე და ვავიკენება ჩირითი,
 აი, მაშინ შევჯავრებთ სივარტე ჰორითი!
 ჩვენ ვეწახს, რომ ამ საქმეში ზღული უნდა მოგვეჩინოს,
 სიცილი, სიხალისი და ჩან-ღენ მოგვეჩინოს!
 მაგარ, ვაბო, ცოდვის ძალით თამაჯი მოგვენატროს!
 თუ ეშმაკი არ შევდებოთ, თუნდ „მარბორი“ მოგვედაღოს!

ლ. ბ. ბაბუხილი



პეპე
 გიორჯილი!
 ვსისი-
 150 მან.

ნ. მ. ბ. ბაბუხილი

კრა მარცხი

სარეაქციო

● ნიჟვარულმა თუ ფრთები შეგახსა, ნუ გიხარია! — რა იცი, საით გაფრინდები!

● მამბაპაცს ბუნებამ უფლება მისცა, საცოლე ამოირჩიოს, მაგრამ ამ ხაქმის გასაქეთებლად მისთვის ჭკუა არ მიუცია.

● ლამაზი ქალი ხაფანგს ჰგავს. განსხვავება ის არის, რომ ხაფანგი მსხვერპლს ელოდება, ქალი კი დაეძებს.

● სამშარო ქალები ხ გარეშე, ალბათ, მამრობითი სქესის სახეცე იქნებოდა.

● ოჯახში კაცია უფროსი თუ ქალი, ისევე გაურკვეველია, როგორც — კაცს მოჰყავს ცხენი თუ ცხენს — კაცი!

● ბათისმებას უნდა ელოდო, მაგრამ არა გულხელდაკრევილი!

● შენზე უკეთესი ამ ქვეყანაზე არავინ არაა! — მხოლოდ ადამს შეეძლო ეთქვა ევასათვის.

● შენთან გავძელი და უშენოდ ვერ გავძლებ? — თქვა ქმარმა და კარი გაიჭახუნა.

● შეუძლებელია, ქმარი არ იყოს დაყოლილი, ცოლი კი — მოდას აუოლილი.

● თუ შეუღლეს ხასიათში ვერ ეწყობი, შეუღლე კი არა, ხასიათი უნდა გამოიცვალო!

● რძალი რომ საფლაფში ჩაგაწვენს, ის საფლაფი შვილის გათხრილია.

● დედა, რომელიც დავაუკაცებულ შვილებს ისე ეპყრობა, როგორც ბავშვებს, ჰგავს იმ კრუხს, რომელიც გაუთავებელი ფაფხურით ცდილობს თითქმის წრდადამთავრებული წიწილების ფრთებქვეშ მოთავსებას.

● თუ ქმარი ბიოლოგია და ცოლი — ქიმიკოსი, სრულებით არაა სავალდებულო, შვილი ბიოქიმიკოსი გამოვიდეს.

● წინათ ქალები ხ ოცნება იყო კარგი კაბით თავის გამოჩენა, ახლა აქცენტი გადატანილია არა კაბაზე, არამედ სხეულის გამოჩენაზე.

● რა უმწეონი არიან მამაკაცები: ათი ქალის შეყვარება თავისუფლად შეუძლიათ, ერთი ქალის ჩამოსაცილებლად კი სასამართლოში მიდიან.

● რუმორი ქკვიანი და მორჩილიც უნდა იყოს ქმარი, მისი ნებაზე გაშვება მაინც არ შეიძლება! — ვის უნახავს, რომ მოთიენიერებული ვეფხვი თავისუფლად დადიოდეს!

გიგლა განბაძე



ნახ. ვ. კუციანი

33




მიკის ზეპირი

დასავლეთ საქართველოში, გუშინდელთან შედარებით, შეინიშნება ტემპერატურის მკვეთრი დაცემა. ქუთაისში ერთბაშად აცივდა ხუთი გრადუსით, ბათუმში, ფოთუმსა და სოხუმში — ორი-სამი გრადუსით. დამნაშავეთა მიმართ გატარდება მკაცრი ადმინისტრაციული ზომები!

გუშინ, ნაშუადღევს, თავისუფალ კოოპერატორთა მოედანზე ახალგაზრდა უტოპისტთა ასოციაციის თაოსნობით შედგა სასჯელის უმაღლესი ზომის გაუქმების მომხრეთა ხალხმრავალი მიტინგი, გამოსული ორატორები ერთსულღოვნად მოითხოვდნენ სიკვდილით დასჯის გაუქმების მოწინააღმდეგეთა დახვეტას!

კინოსტუდიიდან „კვაჭი-პარამაუნტ“ შეგატყობინეს, რომ დგამენ ახალ მხატვრულ ფილმს „ჩანყი საპატიმროში“. მასობრივი სცენებისათვის ესაჭიროებათ ახალამნისტირებული ორმოცდაათი მამაკაცი. სურათის გადაღების პერიოდში ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან საპატიმროს რეჟიმით!..

ახლახან შექსპირის კაბინეტიდან დაგვირეკეს, რომ, როგორც ბოლო გამოკვლევებით დაუდგენიათ, სახელგანთქმული ფრაზა — „ომ, ცხენი, ცხენი, ჩემს სამეფოს ერთ ცხენში ვაძღევ!“ — რიჩარდ მესამეს ცხენის რჩევით წამოუძახია!..

ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოდან ოპერატიულად გვაცნობეს, რომ სამი დღის წინ, დილაადრიან, ვაკის პარკში ნაპოვნია ტყვიით დაცხრილული ახალგაზრდა კაცის გვამი! როგორც შემოწმებით გამოირკვა, ორი ნატყვიარი კაპიკიანის ოდენაა, სამი — ორკაპიკიანისა და ორიც — ათკაპიკიანისა; ჩვენ აქ დავინტერესდით საბოლოო შედეგით და სულ ოცდარვა კაპიკის კრილობები აღმოჩნდა მიყენებული!..

სრულიად სამეგრელოს რეგიონულმა გაზეთმა „ბოდიშის ხმამ“ კონკურსი გამართა ყველაზე ნაღალი ელოს კოეფიციენტის გამოხავლენად. ყველაზე მაღალი ელოს კოეფიციენტი ერთხმად შეიკუთვნა ელო (ბავშვობაში ელო) თუთაშხიას.

მიკის (მაუსის) საათს უხმენდა
ქირუ ლელია

სიმატყეობა

გამალებით მიცემს გული,
ხან მაცხელებს, ხან მაციებს,
რომ აუვლი და ჩაუვლი
კომერციულ მალაზიებს:

იქ, დაზღვბზე, მინების ქვეშ,
დაწყობილი წყება-წყება,
წარბ-წამწამთა შესამკობი
საღებავი მეგულება!

მაგრამ, ვაი! — ყოველ მათგანს
იმნაირი ფასი ადევს,
მთელი წელიც ვიმუშაო, —
ვერ ვიშოვი მაინც ამდენს!

ხომ ყველას სურს, — ლამაზი და
კობტა იყოს?! ამას გარდა,
გამიგია, ქუთუთოებს
ნეფერტიტიც იღებავდა!

პოდა, მეც მსურს უსაშველოდ
(ვერ აგიწერთ ამას ენით),
შევიძინო „რუმბიანა“,
ანდა კიდევ — მწვანე „ტენი“!..

თვალს შეეველებ სუნამოებს,
თაროზე რომ ალაგია,
მაგრამ, აბა, რას შეეწვდები
„ანაისს“ თუ „შავ მაგიას“?!

მაგრამ მალღით ღვთისმშობელი
ჩემს გასაკირს კარგად ხედავს
და მიპოვის ისეთს, ვინაც
შემიყვარებს შეუღლებავს!

... თუმცა მაინც მიცემს გული,
ხან მაცხელებს, ხან მაციებს,
რომ აუვლი და ჩაუვლი
კომერციულ მალაზიებს!

განცხადება

სტუდენტი ვარ! პოდა, ბინა,
რა თქმა უნდა, ფრიად მივირს!
სტიპენდია იკმარეო! —
არ დამიწყებთ, ვიცი, ჩიჩინს!

ბინებს ცეცხლი უკიდია,
გაეკარი თუნდაც ძელზე!
ჩემი ჯიბის შემხედვარე,
იაფიან სარდაფს ვეძებ!

მაგრამ, ვაი, სადღა არის
ცარიელი სარდაფები:
სად — კომერციულებია,
სად — „ფოტო“ და
სად — „ნამცხვრები“!..

დავდივარ და საბოლოოდ
გამიფუჭდა მე გუნება!..
ერთ ცარიელ სარდაფს ვეძებ,
სადმე ხომ არ გეგულებათ?!

პენი, ტაშნი

ჩქარა, ჩქარა!
ერთ დიდ სახლთან,

სადაც მწვანე ჭადარია,
ერთი ბიჭი ჭადარივით
ასვეტილა, მელოდება
და ცა ქუდად აფარია!

ახლა ვიცი, რა ყოფილა
იმ პატარა წუთის ფასი!

ჩქარა, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა,
პეი, ტაქსი!

ჩქარა, ჩქარა!
თორემ იმ ბიჭს
მობეზრდება ღგომა მარტოს!
პოდა, რა ვქნა, რომ გაჯავრდეს,
პოდა, რა ვქნა, რომ წავიდეს,
მეტი რომ არ დამიცადოს?!


ახლა მესმის, რა ყოფილა
იმ პატარა წუთის ფასი!

ჩქარა, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა,
პეი, ტაქსი!

ჩქარა, ჩქარა!
აკიფდი,
ციცნათელას მწვანე ფერო,
იმ ბიჭს თუ ვერ მივუსწარი,
ის ბიჭი თუ დამეკარგა,
მერე რა ვქნა უსიმღეროდ?!

ახლა ვიცი, რა ყოფილა
იმ პატარა წუთის ფასი!

ჩქარა, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!
პეი, ტაქსი!..



ნახ. ზ. გიგოლაშვილისა
(გორის რაიონი, სოფელი უფლისციხე)

— რისთვის აკილდობენ ამ მძღოლს?
— გორი-ცხინვალის გზის მონაკვეთი უხიფათოდ
გაიარა!

უცხოური იუმორი



ახალბავაშვიდობის ცოლი ქმარს ეუბნება:
 — ამ წუთში მესიზმრა, თითქოს შენ მაჩუქე მარჯალიტის ყელსაბამი.. ხაინტერესოა, რას უნდა ნიშნავდეს?

— დღეს ხალაშის გაიგებ! — უპასუხა ქმარმა.
 ხალაშის შინ დაბრუნებულმა ქმარმა შეკვრა მიაწოდა ცოლს. აღფრთოვანებულმა ცოლმა გახსნა შეკვრა და ხედავს წიგნს — „სიზმრების ახსნა“!

* * *

— სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომ მოციხავთ ათი წელი! — ეუბნება მოსამართლე ბრალდებულს.

— დიდი მადლობა აშხელა ნდობისათვის! არც კი მქონდა იმედი, ამდენ ხანს თუ ვიცოცხლებდი!

* * *

— ათ დოლარს მოგცემ, ჩემს სიდედრს თუ დახვდები სადგურზე!

— დავუშვათ, არ ჩამოვიდა?!
 — მაშინ ორჯერ შეტს მოგცემ!

* * *

როდესაც დედას შეუხრულდა ორმოცი წელი, შევიღისგან საჩუქრად მიიღო ძვირადღირებული ნელსაცხებელი სახის ნაოჭებისათვის.

— შარშან რა გაჩუქა დაბადების დღეზე? — ჰკითხა შეგობარმა ქალმა.
 — შარშან... ნაოჭები!

* * *

— ორი თვეა, ხოფელში ვარ და ხულ არ ვიწყენ იმის გამო, რომ ქალაქში არა ვარ!

— ხალაშობით რას აკეთებ?
 — ქალაქში ჩავდივარ სახეირნოდ!

ქალბატონი მეიპლი ვერ იტანდა რიგებს, ბევრ ხალხს, რომლებიც ცდილობენ პირველები გაძვრნენ რიგში..

ერთხელ ქალბატონმა მეიპლმა უნივერსამში სურსათი იყიდა. როდესაც მივიდა ხალაროსთან ფულის გადასახდელად, ამ დროს ახალგაზრდა ვაჟმა სთხოვა, დაეთმო რიგი.

— აი, შეხედეთ, მე მხოლოდ ერთი ქილა მაქვს ძალის საჭმელი.. დამითმეთ, თუ შეიძლება რიგი!

— რახან ასე დამწუხელი უოფილხართ, მობრძანდით! — უპასუხა მისი მეიპლმა.

* * *

— სერ, შეგიძლიათ ორასი დოლარი მახეხხოთ ერთი ფინჯანი ყავისათვის?

— ორასი დოლარი ყავისათვის?!

— აბა, როგორ ფიქრობთ, ასეთი ჩამოძენილი ტანსაცმლით ხომ არ შევალ რესტორანში?!

* * *

ბარში შესული ახალგაზრდა კაცი ბარმენს ეუბნება:

— როგორ იცვლება დრო! ბებიჩემს უოველთვის უნდოდა, რომ მღვდელი ვუოფილიყავი, დედაჩემს — წესიერი კაცი, ხოლო ჩემი ცოლი უოველთვის კმაყოფილი იმით, რომ შინ დროზე ვბრუნდები!

* * *

ამერიკელი ევროპაში მოგზაურობდა.

— სადა ვართ?

— პარიზში! — უპასუხა მძღოლმა.

— დეტალები არ არის საჭირო! კერძოდ, რომელ კონტინენტზე?

* * *

ცოლი: — როგორ შეგიძლია, დალიო ეს საზიზღრობა?

ქმარი: — ხომ დარწმუნდი?! შენ კი ხულ იმას ჩამჩიჩინებ, დროს განცხრობაში ატარებო!

თარგმნა მანანა ჩოკოშვილმა

საბირისა და იუმორის შურნალი „ნიანბი“ №5 (1831), მარტი, გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლშაქაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირჯანი**, **ნოშა ბარათაია**, **რევაზ თვარაძე**, **ქემალ ლოლუა** (მხატვარ-რედაქტორი), **ნოდარ მაღალაშვილი**, **ალექსანდრე ხაშოვანი**, **ბეჟან სინარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ქანსულ ჩარკვიანი**, **თამაზ წიგვიანი**.

ტექნიკური რედაქტორი ირაკლი ლუნდუა

გადაეცა ასაწყობად 4. 02. 91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 03. 91 წ. ქალაქის ზომა 60x90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“. შეკვ. №274. ტირაჟი 70.000. ეურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პარსიპეტი № 42.


ტელეფონები: მთავარ რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მე მანქანის — 99-76-69.

სატირიკო - юмористический журнал «НИ-АНГИ» (на грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Типография журнально-газетного издательства Грузии «Самшобло». ул. М. Костава № 14.

ფაიხი 40 კა).

•ნები 76187

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



შიგუნი ლოგის
5 ლლე



— რატომ უიგუნილოვით?
— საჭმელი არ გვაქვს, გატონო, და
იმიტომ!

ნან. მ. აბაშიძისა